



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

“კულტურა მედიაში”

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

27.10.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი

04.12.2023

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	203851028

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაგდა მემანიშვილი - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლელა წიწუაშვილი - შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოსო გაზდელიანი - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	კულტურა მედიაში
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Culture in Media
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი PhD in Mass Communication
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა/ 0321 Journalism and Reporting
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 2021 წლის 12 იანვრის #15470 გადაწყვეტილებით
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

● ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

სსიპ შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის - კულტურა მედიაში - მიზანია “ერთი მხრივ, შეისწავლოს მედია როგორც თავად კულტუროლოგიური ფენომენი და, მეორე მხრივ, სოციალური ინსტიტუცია, რომელიც იყენებს კულტურას, მეცნიერებას, ხელოვნებას საზოგადოებაზე ზემოქმედებისთვის. პროგრამის მიზანია, გამოიკვლიოს რა ადგილი უკავია მედიაორგანიზაციების მუშაობაში კულტურის სეგმენტს მასობრივი ცნობიერების, საზოგადოების პოლიტიკური, სოციალური, მორალური და სხვ. კულტურის ფორმირების პროცესში და როგორ მოქმედებს ის საზოგადოებრივი აზრის, განწყობის შექმნაზე ისტორიული და თანამედროვე კონტექსტების გათვალისწინებით”. ამასთან ერთად, პროგრამა მიზნად ისახავს “მომზადოს მკვლევრები, რომლებიც სრულყოფილად შეისწავლონ როგორც ქართული, ისე უცხოური მედიასაშუალებების და კულტურის ურთიერთმიმართების საკითხები”.

პროგრამის კურიკულუმი მოიცავს სამ აკადემიურ წელს (6 სემესტრს). ამ ხნის განმავლობაში სტუდენტები გადიან სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტს (მოიცავს 60 სასწავლო კრედიტს) და კვლევით კომპონენტს, რაც გულისხმობს სადოქტორო თემაზე მუშაობას, რომლის წარმატებით დაცვის შემთხვევაში, სტუდენტებს უგროვდებათ 120 კრედიტი. პროგრამაში არსებული აღწერილობის თანახმად, “კვლევითი კომპონენტი გულისხმობს სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომის ეტაპობრივ შესრულებას, რომელიც უნდა მოიცავდეს დარგის ფუნდამენტურ, არგუმენტირებულ კვლევას და მის დაცვას/ საჯარო პრეზენტაციას”.

პროგრამაში ჩართულია 14 პროფესორი, აქედან აკადემიური პერსონალის ოდენობაა - 8, ხოლო მოწვეულის - 6.

2012 წლიდან დღემდე სადოქტორო პროგრამა დაასრულა 4-მა დოქტორანტმა, აქედან 2015 წელს - სამმა, ხოლო 2022 წელს - ერთმა.

ამ ეტაპზე პროგრამას ჰყავს 6 აქტიური სტუდენტი.

პროგრამის თანახმად, კურსდამთავრებულთა დასაქმების ადგილებია “ყველა ტიპის მედიასაშუალება (სამაუწყებლო, ბეჭდური, ახალი მედია და სხვ); საგანმანათლებლო სივრცე;

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

მედიის სამეცნიერო–კვლევითი პროფილის ინსტიტუციები; მედიის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, კულტურის საკითხების კვლევაზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციები; მედიის კვლევის, ანალიზისა და შეფასების მოკლევადიანი და ხანგრძლივი პროექტები; კულტუროლოგიის კვლევითი პროექტები; არქივები; მუზეუმები; კულტურის მენეჯმენტის და მარკეტინგის სფეროები; სოციალური მედია; საინფორმაციო სააგენტოები; საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) სამსახურები; სარედაქციო საქმიანობა; კულტურულ–საგანმანათლებლო დაწესებულებები.”

პროგრამა ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე 2012 წლიდან არსებობს და ამ ხნის განმავლობაში აკრედიტაცია ორჯერ გაიარა - 1. 02.08.2012 (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #289) და 2. 12.01.2021 (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #15470). 2021 წელს პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა ერთ წელსა და ექვს თვეში ანგარიშის წარმოდგენისა და მონიტორინგის განხორციელების პირობით. 2021 წლის 15 დეკემბერს ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარდგენილი დასკვნის თანახმად, პროგრამის სრულყოფის მიზნით გაცემულ იქნა 8 რეკომენდაცია და 4 რჩევა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ ექსპერტების მიერ გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებში კორექტივები შეიტანა, საბოლოოდ პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შემდეგ განსაზღვრულ იქნა წელიწადნახევრიანი დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც უნდა შესრულებულიყო 9 რეკომენდაცია. ამავე პერიოდში პროგრამაში ჩართულ პერსონალს შეეძლო გაეთვალისწინებინა გაცემული 6 რჩევა. 2023 წლის 15 ივნისს უსდ-მ წარმოადგინა რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში, რომელიც შეფასდა ექსპერტის მიერ. რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის დასკვნაში მითითებული იყო, რომ შესრულდა 6 რჩევიდან 4 რჩევა და 9 რეკომენდაციიდან - 8 რეკომენდაცია. მე-9 რეკომენდაცია (“რეკომენდებულია, პროგრამის პერიოდული მონიტორინგის მექანიზმების ამუშავება”) ექსპერტმა არ ჩათვალა შესრულებულად, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 22 სექტემბრის სხდომაზე საკითხის განხილვისას საბჭომ მიიჩნია, რომ შესრულებულია მე-9 რეკომენდაცია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

მონიტორინგის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 27 ოქტომბერს. ექსპერტებმა შეაფასეს პროგრამის ყველა სტანდარტი და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს აკრედიტაციის შემდგომ სამონიტორინგო პერიოდში განმავლობაში განხორციელებულ იმ აქტივობებზე, რომელიც პროგრამის განვითარების მიზნით იქნა შესრულებული.

ვიზიტი სათანადოდ იყო ორგანიზებული, ყველა პანელის ჩარჩოში დაგეგმილი ინტერვიუები წარმართა წინასწარგაწერილი დროისა და შინაარსის შესაბამისად. მონაწილეები გამოხატავდნენ მაღალ მოტივაციას და გასცემდნენ სრულ, ამომწურავ ინფორმაციას. ექსპერტებმა მოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის გარე ექსპერტის მიერ სადოქტორო დისერტაციის ე.წ. ბრმა შეფასების მაგალითები. ექსპერტების მიერ მოთხოვნილი ყველა დამატებითი დოკუმენტაცია უსდ-ს ადმინისტრაციამ და ხარისხის სამსახურმა დროის უმოკლეს მონაკვეთში წარმოადგინა.

დამატებითი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების გაცნობის შემდეგ ექსპერტებს შეექმნათ უფრო სრული წარმოდგენა უმაღლესი განათლების ისეთი სტანდარტების შესახებ, როგორცაა სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა (მე-3 სტანდარტი), აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება (4.3. სტანდარტი). კერძოდ, უნივერსიტეტის ტრადიციული სამეცნიერო კონფერენციებისა და სამეცნიერო ჟურნალების შესახებ მოწოდებულმა ელექტრონულმა ბმულებმა ცხადყო, რომ უსდ ზრუნავს საკუთარი აკადემიური პერსონალის განვითარებაზე. ამასთან ერთად, პროგრამის პერსონალი და განსაკუთრებით ხელმძღვანელები ყურადღებას ამახვილებენ სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობაზე, სამეცნიერო სტატიების მომზადებასა და გამოქვეყნებაზე.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

2021 წელს ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარდგენილი დასკვნის თანახმად, პროგრამის სრულყოფის მიზნით გაცემულ იქნა 8 რეკომენდაცია და 4 რჩევა. მოქმედი 5 სტანდარტიდან ექსპერტებმა სადოქტორო პროგრამა პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტის მიხედვით შეაფასეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო - მეორე სტანდარტთან მიმართებით როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ (აკრედიტაციის დასკვნა, 2021 წლის 15 დეკემბერი).

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ ზეპირი მოსმენისას გაითვალისწინა როგორც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ასევე - უსდ-ს არგუმენტირებული პოზიცია, აგრეთვე ზეპირი მოსმენის შედეგები და გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „1.1 და 3.2 კომპონენტები, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია სტანდარტების შეფასების ცვლილება; 1.2, 4.4 და 5.3 კომპონენტები ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ გამოიწვია მხოლოდ მე-4 და მე-5 სტანდარტების

შეფასების ცვლილება და შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“; ასევე 2.2 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია მე-2 სტანდარტის ცვლილება“ (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 12 იანვრის #15470 გადაწყვეტილება). ამავე გადაწყვეტილების თანახმად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული 8 რეკომენდაციიდან ერთი რეკომენდაცია (პროგრამაში უფრო მეტი სტუდენტის მოზიდვის მიზნით სტრატეგიის დახვეწა) გადატანილ იქნა რჩევებში. საბჭომ გადაწყვეტილებაში არ შეიტანა ექსპერტთა მიერ გაცემული კიდევ ერთი რეკომენდაცია („რეკომენდებულია უსდ-მ გაზარდოს სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელთა რაოდენობა, ყურადღება მიექცეს დოქტორანტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობას“). ამასთან ერთად საბჭომ დაამატა სხვა რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა პროგრამის ფინანსური მდგრადობის მიზნით პროგრამის დეტალური ბიუჯეტის წარდგენას, შიდა ხარისხის სამსახურის უფრო მეტად ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის გასაზომად, აგრეთვე პერიოდული მონიტორინგის მექანიზმების ასამუშავებლად.

2022 წლის იანვრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე (22 თვის განმავლობაში) პროგრამაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა, ხარისხის სამსახურმა და ცენტრალურმა ადმინისტრაციამ გასწია ნიშანდობლივი შრომა რეკომენდაციებისა და რჩევების შესასრულებლად. 2023 წლის 27 ოქტომბერს მონიტორინგის მიზნით მივლენილი ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა როგორც აკრედიტაციის ექსპერტთა 2021 წლის დეკემბრის დასკვნა, ასევე იმ ექსპერტის დასკვნა, რომელმაც შეაფასა პროგრამის ირგვლივ გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების შესახებ უსდ-ს მიერ 2023 წლის ივნისში მომზადებული ანგარიში. ამასთან ერთად, მონიტორინგის მიზნით მივლენილმა ექსპერტებმა კიდევ ერთხელ გამოიკვლიეს აკრედიტაციის ყველა კომპონენტის შესაბამისობა სტანდარტებთან, ამ მიზნით ისინი გაეცნენ მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამას (სილაბუსებს, კურიკულუმს, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს), ხარისხის სამსახურის მიერ მომზადებულ დოკუმენტებს, აგრეთვე უსდ-ს მიერ წარმოდგენილ სხვა მასალას, დაათვალიერეს მატერიალური რესურსები, შეხვდნენ და დეტალურად ესაუბრნენ პროგრამაში ჩართულ სხვადასხვა ჯგუფს. გარდა ამისა, ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ისეთი სტანდარტების მტკიცებულებებს, როგორცაა სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა (მე-3 სტანდარტი), აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება (4.3. სტანდარტი).

მრავალრიცხოვანი დოკუმენტაციის შესწავლის, ინტერვიუების და სხვა დამატებითი მასალების ანალიზის საფუძველზე მონიტორინგის მიზნით მივლენილი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - კულტურა მედიაში - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ყველა სტანდარტში შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- რეკომენდაციები

-

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კომპონენტი 1.4. - საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- სასურველია, რომ სავალდებულო საგნების ჯგუფს დაემატოს საგანი მედიის კვლევის მეთოდები, ხოლო არჩევით საგნებს - სოციალური კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები;
- სასურველია არჩევითი საგნების ჯგუფს დაემატოს საგანი - მსოფლიო ხელოვნების ისტორია.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

-

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

უსდ-ს მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი 2023 წლის 29 ნოემბერს წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის თანახმად „უნივერსიტეტის სრულად ეთანხმება აღნიშნულ შეფასებას“.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული ოთხი მიზანი, ოთხივე მიზანი შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, მიზნები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. ამასთან ერთად, პროგრამის მიზანი ჩამოყალიბებულია ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით, პირველივე მიზნად განსაზღვრულია “მედიის, კულტურული და საზოგადოებრივი პროცესების სინთეზურ კვლევაზე ორიენტირებული მკვლევარ-ანალიტიკოსთა, კრიტიკოსთა და სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება როგორც კვლევითი, ისე პრაქტიკული აკადემიური საქმიანობისათვის – გაღრმავებული სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობისათვის, როგორც საჯარო, ისე - კერძო სექტორში”. ამასთან ერთად, “პროგრამის მიზანია, შექმნას ახალი, ინტერდისციპლინურ მიდგომებზე დამყარებული ცოდნა მედიის და კულტურის სფეროში არსებული გამოწვევების ირგვლივ”.

პროგრამის დანარჩენ სამ მიზანში ყურადღებაა გამახვილებული მედიის, როგორც კულტურული ფენომენის, შესწავლაზე, აგრეთვე ისეთი მკვლევრების მომზადებაზე, რომლებიც შესაბამისობაში იქნებიან არამხოლოდ ქართულ, არამედ საერთაშორისო აკადემიური სივრცის სტანდარტებთან.

პროგრამის მიზნებში მკაფიოდ ჩანს, თუ რა ცოდნის, უნარისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. კერძოდ, მეოთხე მიზნის თანახმად, პროგრამა ამზადებს მკვლევრებს, რომლებიც “სრულყოფილად შეისწავლონ როგორც ქართული, ისე უცხოური მედიასაშუალებების და კულტურის ურთიერთმიმართების საკითხებს”.

მეორე და მესამე მიზანი განმარტავს, თუ რა წვლილი შეაქვს აღნიშნულ პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. სახელდობრ, “ბ) პროგრამის მიზანია, ერთი მხრივ, შეისწავლოს მედია როგორც თავად კულტუროლოგიური ფენომენი და, მეორე მხრივ, სოციალური ინსტიტუცია, რომელიც იყენებს კულტურას, მეცნიერებას, ხელოვნებას საზოგადოებაზე ზემოქმედებისთვის. პროგრამის მიზანია, გამოიკვლიოს რა ადგილი უკავია მედიაორგანიზაციების მუშაობაში კულტურის სეგმენტს მასობრივი ცნობიერების, საზოგადოების პოლიტიკური, სოციალური, მორალური და სხვ. კულტურის ფორმირების პროცესში და როგორ მოქმედებს ის საზოგადოებრივი აზრის, განწყობის შექმნაზე ისტორიული და თანამედროვე კონტექსტების გათვალისწინებით. გ) პროგრამის მიზანია შეისწავლოს მედია, როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი ინსტიტუცია და კონკრეტული მედიასაშუალებების წილი ამ ფუნქციის შესრულებაში.”

2021 წლის 15 დეკემბრის რეკრედიტაციის დასკვნაში კომპონენტ 1.1 -თან მიმართებაში გაცემულ იქნა რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც “ზაზრის კვლევის თანახმად სადოქტორო პროგრამას გააჩნია უფრო მეტი სტუდენტის მიზიდვის პოტენციალი, საჭიროა რეკრუტირების მიმართულებით სწორი სტრატეგიის დაგეგმვა და ამ კუთხით ინოვაციური მიდგომების გამოყენება.” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის პირველი იანვრის #15470 გადაწყვეტილებით, აღნიშნული რეკომენდაცია დაფორმულირდა, როგორც რჩევა. ამავე გადაწყვეტილების თანახმად, პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია შვიდი წლის ვადით ერთ წელსა და ექვს თვეში ანგარიშის წარმოდგენისა და მონიტორინგის განხორციელების პირობით. 2023 წლის 19 ივნისს უსდ-მ წარმოადგინა ანგარიში რეკომენდაციების შესრულების შესახებ. უსდ-ს ანგარიშის შეფასების შესახებ დასკვნაში ექსპერტმა აღნიშნა, რომ “2022-2023 წელს სადოქტორო პროგრამას 5 აქტიური სტუდენტი ჰყავდა, ამდენად, უნდა ჩაითვალოს, რომ რჩევა შესრულდა და დოქტორანტ სტუდენტთა რაოდენობა გაიზარდა”⁶.

2023 წლის 27 ოქტომბრის ვიზიტისას ექსპერტები ცალკე პანელზე შეხვდნენ პროგრამის ხუთივე აქტიურ სტუდენტს. ამდენად, რეკომენდაცია, რომელიც რჩევებში იქნა გადასული, შესრულდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

⁶ ანგარიშის შესახებ დასკვნის ავტორი ექსპერტის აზრით, აღნიშნული რჩევა ეხება არა პირველ, არამედ მე-4 სტანდარტს. კერძოდ, კომპონენტ 4.5-ს (პროგრამის მდგრადობის ნაწილს).

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურა მედიაში“ (ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე N 8, 27.04.2021 და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე N 7, 02.06. 2021);
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება;
- უნივერსიტეტის მისია (დამტკიცებულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 თებერვლის N4 დადგენილებით) ;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა კულტურა მედიაში, 2021 წლის 15 დეკემბერი)
- 2023 წლის 19 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში სადოქტორო პროგრამის- კულტურა მედიაში - შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- 2023 წლის 6 სექტემბერს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა (“კულტურა მედიაში” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი);
- 2023 წელს მონიტორინგის ვიზიტისას ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.1 პროგრამის მიზნები	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
-----------------------	---	--------------------------	--------------------------	--------------------------

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

2021 წლის 15 დეკემბრის დასკვნაში, რომელიც აკრედიტაციის ჯგუფის ექსპერტების ავტორობით მომზადდა, აღნიშნულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში იყო სტანდარტებთან. დასკვნის თანახმად, “პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მომზადებას არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით და მათ კონკურენტუნარიანობას როგორც განათლების, ასევე დასაქმების ბაზარზე. პროგრამის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და ეროვნული კლასიფიკატორის დონის შესაბამისი სირთულის განმსაზღვრელებთან - სინთეზური და ანალიტიკური კვლევის უნარებით აღჭურვილი მკვლევარი, რომელსაც შეუძლია სირთულეების დამოუკიდებლად გადაჭრის გზების აღმოჩენა თანამედროვე და საერთაშორისო კვლევითი სტანდარტების შესაბამისად.

პროგრამის შედეგებში გამორჩეულია აქცენტი იმაზე, რომ კურსდამთავრებულთა, როგორც მკვლევართა კვლევის მეთოდები და ცოდნა-ინფორმაციის წყარო წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებულ მეთოდებსა და საერთაშორისო მედიაში მიმდინარე დისკურსებს. პროგრამაში ინტეგრირებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე იყვნენ მოთხოვნადი”. აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით აკრედიტაციის ექსპერტებს რეკომენდაცია არ ჰქონიათ. კომპონენტი შეფასდა, რომ “შესაბამისობაში მოთხოვნებთან”.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის პირველი იანვრის #15470 გადაწყვეტილების თანახმად, საბჭომ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით გასცა რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც რეკომენდებული იყო “პროგრამის სწავლის შედეგების

გადახედვა და რეფორმულირება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად”. ამასთან ერთად, საბჭომ აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასება შეცვალა და კომპონენტი 1.2. შეაფასა, როგორც “მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან”.

2023 წლის 19 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა და უსდ-მ შეასრულა რეკომენდაცია - სწავლის შედეგები ისე დაფორმულირდა, რომ უფრო მეტად შესაძლებელი გახდა მათი გაზომვა. ანგარიშის შესახებ დასკვნაში (2023 წლის 6 სექტემბერი) მოწვეულმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ “პროგრამაში არსებული ცხრილები ცხადს ხდის, რომ პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის მკაფიო და ლოგიკური კავშირია; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში გაწერილია გაზომვადი ნიშნულები. კერძოდ, სწავლის პირველ, მეორე, მეოთხე და მეხუთე შედეგებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ შედეგებზე გამსვლელ სავალდებულო საგნებში - „არანაკლებ 61 ქულას მიიღებს დოქტორანტების მინიმუმ 80%“, ხოლო პროგრამის მე-2 შედეგთან დაკავშირებით (აღნიშნული შედეგის გაზომვის ძირითადი მეთოდი არის სადოქტორო თემა თავისი კომპონენტებითურთ) აღნიშნულია, რომ - „დისერტაციაში არანაკლებ 61 ქულას მიიღებს დოქტორანტების მინიმუმ 80%“. გარდა ამისა, ანგარიშის დასკვნაში ყურადღება იყო გამახვილებული იმ ფაქტზე, რომ უსდ-მ 2021-2022 და 2022-2023 სასწავლო წლებში გაზომა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგები და დაადარა იგი წინასწარ განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებს. შესაბამისად, ანგარიშის მიხედვით პირველი რეკომენდაცია სრულად შესრულდა.

2023 წლის 27 ოქტომბრის ვიზიტისას ექსპერტებმა კვლავ შეისწავლეს პროგრამაში კორექტირებული სწავლის შედეგები, გაეცნენ 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების შესახებ მომზადებულ დოკუმენტებს. ამასთან ერთად, განიხილეს სწავლის შედეგების რეფორმულირების პროცესი პროგრამის ხელმძღვანელებთან შეხვედრის პანელზე, ხოლო სწავლის შედეგების გაზომვისა და სანიშნე ნიშნულებთან დადარების პროცესი ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრისას. პროგრამის მონიტორინგის მიზნით მივლენილი ექსპერტების ჯგუფი დარწმუნდა, რომ რეფორმულირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან, აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. დაბოლოს,

სწავლის შედეგები გაზომვადია, შესაბამისად კომპონენტი 1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურა მედიაში“ (ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე N8, 27.04.2021 და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე N 7, 02.06. 2021);
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა კულტურა მედიაში, 2021 წლის 15 დეკემბერი)
- 2023 წლის 19 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში სადოქტორო პროგრამის- კულტურა მედიაში - შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- ამავე ანგარიშის დანართად წარმოდგენილი დოკუმენტები - 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგები;
- 2023 წლის 6 სექტემბერს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა (“კულტურა მედიაში” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი);
- 2023 წელს მონიტორინგის ვიზიტისას პროგრამის ხელმძღვანელებთან და ხარისხის სამსახური წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	x	□	□	□

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას აქვს გამართული სწავლის შედეგების მექანიზმი. სწავლის შედეგების რუკაში ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებზე გამსვლელი თითოეული საგნის შეფასების ფორმა, სამიზნე ნიშნული, მონაცემების შეგროვების დრო, მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი, მიღებული შედეგების ანალიზზე პასუხისმგებელი პირი. სწავლის შედეგების მექანიზმის თანახმად, სამიზნე ნიშნულები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად - “არანაკლებ 61 ქულას მიიღებს დოქტორანტების მინიმუმ 80%”. მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესორი, ხოლო ანალიზზე - ხარისხის სამსახური.

2021 წლის ოქტომბრის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნული კომპონენტი არ შეუფასებია, რადგან სტანდარტების იმდროინდელი სტრუქტურა არ ითვალისწინებდა სწავლის შედეგების შეფასებას, როგორც ცალკე კომპონენტს. შესაბამისად, 1.3. კომპონენტთან დაკავშირებით რეკომენდაცია არ გაცემულა.

2023 წლის ივნისში უსდ-ს მიერ რეკომენდაციის შესრულების შესახებ ანგარიშში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იყო დოკუმენტი „2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგები“ (საქალაქე „დამატებითი დოკუმენტაცია“, მე-7 ფაილი). აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია ორი სემესტრის განმავლობაში სტუდენტთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადარება წინასწარ გაწერილ სამიზნე ნიშნულებთან, აგრეთვე სწავლის შედეგების შეფასება. ანგარიშის შესახებ დასკვნაში მოწვეულმა ექსპერტმა აღნიშნა:

"შეფასების დოკუმენტი ადასტურებს, რომ პროგრამაში არსებული სწავლის შედეგების მექანიზმის საშუალებით შესაძლებელია პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვა-შეფასება". შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და პროცესი გამართულია.

აღნიშნული კიდევ ერთხელ დადასტურდა 2023 წლის 27 ოქტომბერს მონიტორინგის ექსპერტთა ვიზიტისას. პროგრამის ხელმძღვანელებთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ უსდ-ში სამონიტორინგო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობა ფასდება და საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება ან პროგრამის გასაუმჯობესებლად. ამ ეტაპზე სწავლის შედეგების მონიტორინგის ანგარიშის შედეგების მიხედვით პროგრამის კორექტირების საჭიროება არ არსებობს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურა მედიაში“ (ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე N8, 27.04.2021 და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე N 7, 02.06. 2021);
- კურიკულუმის რუკა;
- სამიზნე ნიშნულები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შეფასების გეგმა;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა კულტურა მედიაში, 2021 წლის 15 დეკემბერი)
- 2023 წლის 19 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში სადოქტორო პროგრამის- კულტურა მედიაში - შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- ამავე ანგარიშის ერთ-ერთ დანართად წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების შედეგები და ანალიზი (ხარისხის სამსახურის მიერ მომზადებული ანალიზის დოკუმენტი - „ 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგები“);

- 2023 წლის 6 სექტემბერს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა (“კულტურა მედიაში” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი);
- 2023 წელს მონიტორინგის ვიზიტისას პროგრამის ხელმძღვანელებთან და ხარისხის სამსახური წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურა მედიაში“ (ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე N 8, 27.04.2021 და დამტკიცებულია აკადემიური

საბჭოს სხდომაზე N 7, 02.06. 2021) შემუშავებულია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ მომზადებულ, 2021 წლის 15 დეკემბრით დათარიღებულ დასკვნაში აღნიშნულია, რომ “ პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების სადოქტორო საფეხურს; პროგრამის სრული მოცულობით: შინაარსით, კვლევის დამოუკიდებელი მიმართულების ორიენტირებით, კრედიტების მოცულობით (სასწავლო კომპონენტით 60 კრედიტი) უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპეტენციების განვითარება. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს; პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის სადოქტორო პროგრამა მოიცავს 60 სასწავლო კრედიტს, რასაც ემატება კვლევითი კომპონენტი, რაც გულისხმობს სადისერტაციო ნაშრომის ეტაპობრივ შესრულებას, რომელიც უნდა მოიცავდეს დარგის ფუნდამენტურ, არგუმენტირებულ კვლევას და მის დაცვას/ საჯარო პრეზენტაციას. სადოქტორო პროგრამის თითოეული კომპონენტი სადოქტორო აკადემიურ დონეზე ავითარებს დარგის მახასიათებელ სპეციფიკურ თავისებურებებს და შეიცავს კონკრეტულ კვლევით პრობლემატიკას. კომპონენტებს აერთიანებთ სწავლებისა და კვლევის ერთიანი პრინციპი, რომელიც ხორციელდება ყოველი კომპონენტისთვის ნიშანდობლივი და აუცილებელი მეთოდოლოგიით. სადოქტორო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი სადოქტორო საფეხურის აღმწერის სათანადო დონით”.

ამავე დასკვნაში ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, რომ პროგრამაში კრედიტი მინიჭებული ჰქონდა კვლევით კომპონენტსაც. თუმცა, აკრედიტაციის ვიზიტისას ექსპერტებს განუმარტეს, რომ ეს მექანიკური ხარვეზი იყო, რაც გაიპარა სააკრედიტაციო პაკეტის მომზადებისას. აკრედიტაციის ექსპერტებმა გასცეს შემდეგი რეკომენდაცია - “გასწორდეს ხარვეზი სადოქტორო პროგრამის დოკუმენტში, კვლევითი კომპონენტის არცერთ სავალდებულო ელემენტს არ ენიჭება კრედიტები და არ ფასდება ქულებით, შესაბამისად, დოქტორანტს, მათი შესრულების შემდეგ, კრედიტი არ მიენიჭება. ფასდება მხოლოდ დოქტორანტის დისერტაცია ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით.”

2023 წლის 19 ივლისს უსდ-ს მიერ წარმოდგენილ ანგარიშში რეკომენდაციების შესრულების შესახებ აღნიშნული იყო, რომ ტექნიკური ხარვეზი გასწორდა: კვლევითი კომპონენტისთვის მინიჭებული კრედიტის ოდენობა იყო -120, ხოლო კვლევით კომპონენტი ფასდებოდა

ერთჯერადად დისერტაციის დაცვისას. ანგარიშის შესახებ დასკვნის ექსპერტის შეფასებით “დოქტორანტურის კვლევითი კომპონენტი შედგება სამი ნაწილისგან - ა) დისერტაცია ანუ სამეცნიერო ნაშრომის შესრულება, ასევე სამეცნიერო სტატიების პუბლიკაცია, რომელიც უნდა ასახავდეს თეორიულ ან/და ემპირიული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს; ბ) დოქტორანტის კოლოკვიუმი; გ) დისერტაციის დაცვა, ანუ, თემის საჯარო პრეზენტაცია;). თითოეული ნაწილის შესრულების აღწერა და ვადები მოცემულია მარეგულირებელი დოკუმენტის მე-12 და მე-13 მუხლებში. კვლევითი კომპონენტის შესახებ ინფორმაცია დეტალურად არის აღწერილი სადოქტორო პროგრამაში, კერძოდ - შეფასების წესსა და მეთოდებში, პროგრამის/კურსის მოცულობაში, სასწავლო გეგმასა და კურიკულუმში.

ამრიგად, მე-3 რეკომენდაცია შესრულებულია და პროგრამაში კვლევითი კომპონენტის აღწერილობა შესაბამისობაშია მოსული სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებასთან.” შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია შესრულდა.

2023 წლის 27 ოქტომბრის ვიზიტისას სხვადასხვა პანელის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ პროგრამაში კვლევითი კომპონენტის აღწერილობა შესაბამისობაშია მოსული სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებასთან.

2023 წლის 27 ოქტომბრის მონიტორინგის ვიზიტით მივლენილმა ექსპერტების ჯგუფის აზრით, სასურველია, თუკი პროგრამას სავალდებულო საგნად დაემატება მედიის კვლევის მეთოდები, არჩევით საგნად კი - სოციალური კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. მედიისა და კომუნიკაციების კვლევა სოციალური მეცნიერებების შედარებით ახალი მიმართულებაა, მართალია, ამ მხრივ ქართულენოვანი წიგნების დეფიციტია, თუმცა, არსებობს ინგლისურენოვანი მდიდარი ლიტერატურა, აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს კი ჩარიცხვის წინაპირობების მიხედვით ინგლისური ენის ბ2 დონეზე ცოდნა მოეთხოვებათ. ამასთან ერთად, უსდ-მ შეიძინა მრავალფეროვანი თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რომელიც კომუნიკაციის კვლევებს ეხება. შესაბამისად, უსდ-ში და უშუალოდ პროგრამის შიგნითაც ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ სტუდენტებს სავალდებულო საგნად შესთავაზონ მედიის კვლევის მეთოდები, არჩევითად კი - სოციალური კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები.

აღსანიშნია, რომ ვინაიდან სადოქტორო პროგრამა მულტიდისციპლინურია, მასზე შეიძლება ჩაირიცხონ მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხის მქონე ისეთი პირები, რომელთაც არ ჰქონიათ შეხება სოციალურ მეცნიერებებთან, ანდა, მით უფრო, მედიისა და კომუნიკაციის კვლევებთან. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს ორივე ჯგუფმა დაადასტურა, რომ სასარგებლოდ მიაჩნიათ აღნიშნული საგნები.

გარდა ამისა, სასურველია, რომ არჩევითი საგნების ნუსხაში იყოს საგანი მსოფლიო ხელოვნების ისტორია. ამჟამად არჩევითი საგნების ნუსხაში მხოლოდ ერთი საგანია - XIX, XX საუკუნეების მსოფლიო ხელოვნების განვითარების ტენდენციები, რაც, ექსპერტების აზრით, უნდა გაფართოვდეს. ხელოვნების ისტორია თითქმის ყველა ისეთ პროგრამაზე ისწავლება, რომელიც კულტურისა და ხელოვნების სფეროს ეხება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურა მედიაში“ (ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე N8, 27.04.2021 და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე N 7, 02.06. 2021) თანდართული სილაბუსებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი და შეფასების ინდიკატორები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 20 ნოემბერს (დადგენილება N18/3);
- კურიკულუმის რუკა;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა კულტურა მედიაში, 2021 წლის 15 დეკემბერი)
- 2023 წლის 19 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში სადოქტორო პროგრამის - კულტურა მედიაში - შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- 2023 წლის 6 სექტემბერს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა (“კულტურა მედიაში” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი);

- 2023 წლის 27 ოქტომბერს მონიტორინგის ვიზიტისას პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, აგრეთვე ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

- სასურველია, რომ სავალდებულო საგნების ჯგუფს დაემატოს საგანი მედიის კვლევის მეთოდები, ხოლო არჩევით საგნებს - სოციალური კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები;
- სასურველია არჩევითი საგნების ჯგუფს დაემატოს საგანი - მსოფლიო ხელოვნების ისტორია.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში (2021 წლის 15 დეკემბერი) აღნიშნული კომპონენტი შეფასებულია დადებითად. კერძოდ, დასკვნაში ნათქვამია, რომ “თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების მოცულობა სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებს. სასწავლო კომპონენტი მოიცავს 60 კრედიტს სპეციალური დარგობრივი დისციპლინების ყოველი კურსი არის 5-10-15 კრედიტიანი, რაც გულისხმობს სალექციო კურსების, ზეპირი და წერილობითი გამოკითხვების, პრეზენტაციების საშუალებით სტუდენტის მიერ კვლევის დამოუკიდებლად წარმართვას და დარგობრივი ცოდნის გაღრმავებასთან ლოგიკურ თანაფარდობას. ყველა საგნის სილაბუსი შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და ითვალისწინებს დარგის განვითარების უახლეს ტენდენციებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სასწავლო კურსების არსებული სილაბუსები იმ პრინციპითაა აგებული, რომ შესაძლებელია სწავლების პროცესში უახლესი ფორმების დანერგვა.

სადოქტორო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები უკავშირდება პროგრამის სწავლის შედეგებს და სადოქტორო საფეხურს. პროგრამაში კრედიტების რაოდენობა ისეა განაწილებული, რომ მეტი დრო ეთმობა კვლევით საქმიანობას და დოქტორანტის დამოუკიდებელ პრაქტიკულ-კვლევით საქმიანობას. საკონტაქტო საათები კურსის შესაბამისი, სხვადასხვაგვარი სწავლა-სწავლების მეთოდებითაა წარმოდგენილი: ლექციებისა და ჯგუფში მუშაობის საათები, პრაქტიკული მეცადინეობა და ა.შ. სასწავლო კურსის შინაარსის შესაბამისად”. სასწავლო კურსებთან დაკავშირებით ექსპერტებმა შენიშვნა მხოლოდ შეფასების სისტემასთან დაკავშირებით გასცეს რეკომენდაცია. მათი აზრით, სილაბუსებში უმეტესად არ იყო წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ქულობრივი რანჟირება. ამასთან, კურსების სწავლის შედეგები იმგვარად იყო ფორმულირებული, რომ გაზომვის საშუალებას არ იძლეოდა. აღნიშნული შენიშვნის გამო გაცემულ იქნა რეკომენდაცია, რომელიც სტუდენტების შეფასების კომპონენტში განთავსდა და წინამდებარე დოკუმენტის შესაბამის კომპონენტში (“2.4”) დეტალურადაა გაანალიზებული.

ვინაიდან სასწავლო კურსებთან დაკავშირებით შინაარსობრივად, ან - ლიტერატურის სრულყოფის მიზნით რაიმე რეკომენდაცია არ გაცემულა, უსდ-ს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე 2023 წლის 19 ივნისს წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია არ არის მოწოდებული, იგივე უნდა ითქვას

რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის შესახებ მომზადებულ დასკვნაზე (2023 წლის 9 სექტემბერი).

2023 წლის 27 ოქტომბრის მონიტორინგის ვიზიტისას ექსპერტებმა კიდევ ერთხელ შეისწავლეს პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები. როგორც სილაბუსები, ისე პროგრამის ლოგიკური ჩარჩო და ამ ორის კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან ცხადყოფს, რომ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს თითოეული კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა საკმარისია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურა მედიაში“ (ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე N8, 27.04.2021 და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე N 7, 02.06. 2021) თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა პროგრამის ლოგიკური ჩარჩოთი;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე „კულტურა მედიაში“ დაშვების წინაპირობები მიზნად ისახავს დოქტორანტების წინასწარი კომპეტენციების იდენტიფიცირებას, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

2021 წლის 15 დეკემბრის რეაკრედიტაციის დასკვნაში, რომელიც აკრედიტაციის ჯგუფის ექსპერტების ავტორობით მომზადდა, აღნიშნულია, რომ “პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფარგლებში სპეციალობის თავისებურებათა მიხედვით სტუდენტთა მიღება ხდება შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დაკვეთის გათვალისწინებით.“ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას. “ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამისი, ან მომიჯნავე კვალიფიკაციით (ჰუმანიტარული, სახელოვნებო, სოციალური, პოლიტიკური

მეცნიერებები, საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების შესაბამისი სპეციალობები). სასურველია, მაღალი აკადემიური მაჩვენებლები, შემოქმედებითი ალღო, მხატვრული აზროვნება და ინტელექტი, რაც გაუადვილებს დოქტორანტს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან თავსებადობას. ბ) შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა შედგება სააპლიკაციო პაკეტისაგან, ენის ფლობის დონის დასადგენი ტესტირების ინტერვიუსა და რეფერატისგან.”

სადოქტორო პროგრამის დაშვების წინაპირობები ითვალისწინებდა რამდენიმე უცხო ენიდან (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ერთ-ერთის ჩაბარებას, რაც რეაკრედიტაციის ექსპერტების მიერ არარელევანტურად იქნა მიჩნეული პროგრამის სასწავლო კურსების ინგლისურენოვანი ლიტერატურიდან გამომდინარე. ექსპერტებმა დაშვების წინაპირობების განსაზღვრისას უცხო ენასთან დაკავშირებით გასცეს რეკომენდაცია. სხვა მხრივ აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ სადოქტორო პროგრამაზე “დაშვების წინაპირობები ძირითადად სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. .

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 12/01/2022 წლის №15470 გადაწყვეტილებით, გაცემული იქნა რეკომენდაცია- “2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დასახელდეს ერთი კონკრეტული უცხო ენა და სილაბუსებში ამავე ენაზე დასახელდეს სავალდებულო ლიტერატურა.”

2023 წლის 6 სექტემბერს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნაში (“კულტურა მედიაში” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი) აღნიშნულია: “კომპონენტის დასახელება 2.2.საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი რეკომენდაცია II პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დასახელდეს ერთი კონკრეტული უცხო ენა და სილაბუსებში ამავე ენაზე დასახელდეს სავალდებულო ლიტერატურა. შეფასება პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში შეტანილი ცვლილების თანახმად, „აპლიკანტი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას B2 დონეზე. აპლიკანტის ენის ფლობის დონე შემოწმდება ტესტირების საშუალებით. აპლიკანტი გათავისუფლდება ტესტირებისგან, თუ წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს, რომელიც დაადასტურებს ენის ცოდნას B2 დონეზე, ან, თუ წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციაში, სადაც უწევს უცხო ენაზე

წერიტი და ზეპირი კომუნიკაცია, მუშაობის დამადასტურებელ საბუთს.“ (საგანმანათლებლო პროგრამა გვ:17). ანგარიშის მტკიცებულებად წარმოდგენილ ყველა სილაბუსში მითითებულია სავალდებულო ინგლისურენოვანი ლიტერატურა. მეორე რეკომენდაცია სრულად შესრულებულია”.

2023 წლის 27 ოქტომბრის მონიტორინგის ვიზიტისას ექსპერტებმა კიდევ ერთხელ შეისწავლეს სადოქტორო პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები და სილაბუსები, სადაც ყველგან მითითებულია სავალდებულო ინგლისურენოვანი ლიტერატურა. რეკომენდაციის სრულად შესრულება დადასტურდა ასევე სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებისას. უსდ-ს აღნიშნულ სადოქტორო პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები აქვს, რითაც უზრუნველყოფილია პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა ჩართვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურა მედიაში“ (ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე N8, 27.04.2021 და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე N 7, 02.06. 2021) თანდართული სილაბუსებით;
- უსდ-ს ვებგვერდი;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება 12/01/2022 წლის №15470;
- 2023 წლის 19 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში სადოქტორო პროგრამის - კულტურა მედიაში - შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- 2023 წლის 6 სექტემბერს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა (“კულტურა მედიაში” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი);

- 2023 წლის 27 ოქტომბერს მონიტორინგის ვიზიტისას პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, აგრეთვე ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

2022 წლის 15 დეკემბრის აკრედიტაციის დასკვნაში აღნიშნულია, რომ პროგრამაზე “სწავლების მნიშვნელოვანი შემადგენელია პრაქტიკა. ამ შემთხვევაში გამოიყენება ე.წ. შერეული მოდელი, როდესაც პრაქტიკული ნაწილი ჩაშენებულია თავად თეორიულ სწავლებაში. პრაქტიკა მომავალი დოქტორის კვლევითი საქმიანობის საფუძველია. ამდენად, საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ისეთ კურსებს, რომლებიც ამ უნარების განვითარებას ემსახურება. დოქტორანტი სწავლობს მასალების მოპოვების, ფაქტების შეგროვების და დახარისხების, ასევე წყაროებზე მუშაობის პრაქტიკულ ხერხებს, უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით ინფორმაციის ზღვა ნაკადში სასურველის შერჩევას; სწავლობს მასალების დაარქივების ტექნიკურ პარამეტრებს; აუდიოვიზუალური ტექნიკით სარგებლობას, რასაც ეუფლება საზოგადოებრივ მაუწყებელთან”. აკრედიტაციის ექსპერტებს კომპონენტ 2.2-თან

დაკავშირებით რეკომენდაცია არ გაუციათ. დასკვნის თანახმად, პროგრამა შესაბამისობაში იყო აღნიშნულ ქვესტანდარტთან. შესაბამისად, აღნიშნული ქვესტანდარტის შესახებ ინფორმაცია არ იყო არც უსდ-ს მიერ მომზადებულ ანგარიშში რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

მონიტორინგის მიზნით მივლენილი ექსპერტები გაეცნენ აღნიშნული კომპონენტის შესახებ წარმოდგენილ მასალას. ექსპერტების თხოვნით მიწოდებულ დამატებით დოკუმენტაციაში უსდ-მ წარმოადგინა ყოველწლიური ტრადიციული კონფერენციის (ხელოვნების მკვლევართა საერთაშორისო მე-14 კონფერენცია - ქალი და ხელოვნება) ანოტაციები, სამეცნიერო ჟურნალების (სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი) ელექტრონული ბმულები. წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად მონიტორინგის მიზნით მივლენილი ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ უსდ და უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელები ინდივიდუალურად მუშაობენ დოქტორანტებთან, ხელმძღვანელებს მათ სამეცნიერო თემებს და ხელს უწყობენ სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას.

2023 წლის 27 ოქტომბერს მონიტორინგის ვიზიტისას ჩატარდა ინტერვიუები სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან. მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტები გაეცნენ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

აღნიშნული ინტერვიუების დროს, განსაკუთრებული აქცენტი პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის შემცველობაზე კეთდებოდა. პროგრამა ორიენტირებულია უნივერსიტეტისთვის სამომავლო კადრების მომზადებაზე, ამიტომ სტუდენტები მაქსიმალურად ჩართული არიან პრაქტიკულ საქმიანობაში.

უნივერსიტეტს აქვს საკუთარი გამომცემლობა და სტამბა, საკუთარი ტელევიზია, თეატრი, პავილიონები, პერიოდული ჟურნალი „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“. სტუდენტები მონაწილეობენ საუნივერსიტეტო კონფერენციებში და შემდგომ მასალები ორენოვან კრებულში ელექტრონულ ფორმატში იბეჭდება. პრიორიტეტი კვლევით ნაშრომებს ენიჭება. მნიშვნელოვანია ამ მხრივ სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისთვის არა მხოლოდ უნივერსიტეტის, არამედ ტელევიზიების და ეროვნული არქივის მასალებთან წვდომა (საზოგადოებრივი ტელევიზიის და ეროვნული არქივის მასალების კვლევა).

პროგრამის ხელმძღვანელების აზრით, პრაქტიკული თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია ასისტირების კომპონენტი, რა დროსაც სტუდენტები ეჩვევიან ლექციების წაკითხვას და უშუალოდ მონაწილეობენ სასწავლო პროცესში. გარდა ამისა, სტუდენტები თავად მედიის სფეროში არიან დასაქმებულნი.

მონიტორინგის მიზნით მივლენილი ექსპერტების ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამა შეესაბამება აკრედიტაციის კომპონენტ 2.2-ს და უზურუნველყოფილია სტუდენტების სამეცნიერო, კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურა მედიაში“ (ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე N8, 27.04.2021 და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე N 7, 02.06. 2021) თანდართული სილაბუსებით;
- სამეცნიერო ჟურნალების ელექტრონული ბმულები, სამეცნიერო კონფერენციების მასალები
<https://artsmediajournal.tafu.edu.ge/>
<https://dziebani2.tafu.edu.ge/wp-content/uploads/2023/06/Art-Scienc-Studies-2-75-2018.pdf>
https://www.tafu.edu.ge/files/pdf/conf/XVI_art/16%20th%20Conference%202023%20Program.pdf
https://www.tafu.edu.ge/files/pdf/conf/XIV_art/anoth%202021%20GEO.pdf
- 2023 წლის 19 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში სადოქტორო პროგრამის - კულტურა მედიაში - შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- 2023 წლის 27 ოქტომბერს მონიტორინგის ვიზიტისას პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, აგრეთვე ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე - „კულტურა მედიაში“ - სწავლების თანამედროვე მეთოდებს იყენებენ. ინტერვიუს დროს პროფესორ-მასწავლებლებმა, სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლების პროცესში სხვადასხვა მეთოდის წარმატებით გამოყენების შესახებ ისაუბრეს.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანი, რელევანტური და ადეკვატურია.

სწავლების პროცესში, გარდა ვერბალური კომუნიკაციისა, აქტიურად იყენებენ ვიზუალურ საშუალებებს, რათა ზეპირსიტყვიერად ნათქვამს თან ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინოება. ცხადია, აღნიშნული მიდგომა დოქტორანტებს ახალი მასალის ათვისებას მნიშვნელოვნად გაუიოლებს. ამასთან, როგორც ინტერვიუების დროს აღინიშნა, ლექცია-სემინარებზე ხშირად მიმართავენ დისკუსია-დებატების მეთოდს, რაც, თავისთავად, პროცესში დოქტორანტების აქტიურ ჩართულობას მოითხოვს. განსაკუთრებულად ინტენსიურად გამოიყენება დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდი, რაც სწავლების სადოქტორო საფეხურზე სრულიად ბუნებრივია.

სილაბუსების შესწავლამ ცხადყო, რომ პროგრამის ფარგლებში სწავლა-სწავლების ძირითადი მეთოდებია: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი; წიგნზე, მასალებზე, წყაროებზე მუშაობა; წერითი მუშაობა; დემონსტრირება; პრაქტიკა; დისკუსია/დებატები; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); ევრისტიკული მეთოდი; შემთხვევის ანალიზი (Case study); გონებრივი იერიში (Brain storming); ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი; ელექტრონული სწავლება (E-learning).

წარმოდგენილი მეთოდების გარდა, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიმართავენ სწავლების სხვა თანამედროვე მეთოდებსაც. სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით ინფორმირებული არიან დოქტორანტები, ინფორმაცია მოცემულია შესაბამისი საგნების სილაბუსებში და ხელმისაწვდომია პროგრამის სტუდენტებისთვის.

წინა აკრედიტაციის დასკვნის მიხედვით, მოცემულ ქვესტანდარტში არ დაფიქსირებულა რეკომენდაციები და რჩევები, ამრიგად, ის შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან.

გეგმური მონიტორინგის ფარგლებში, ინტერვიუების შედეგებისა და დოკუმენტაციების ანალიზის საფუძველზე, კვლავაც დადასტურდა, რომ ქვესტანდარტი 2.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურა მედიაში“ (ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე N8, 27.04.2021 და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე N 7, 02.06. 2021) თანდართული სილაბუსებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა კულტურა მედიაში, 2021 წლის 15 დეკემბერი)
- 2023 წლის 19 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში სადოქტორო პროგრამის - კულტურა მედიაში - შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;

- 2023 წლის 6 სექტემბერს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა (“კულტურა მედიაში” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი);

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას. სტუდენტების ცოდნის შეფასების ზოგადი სისტემა შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო კურსის სილაბუსებით.

პროგრამის შესაბამისად, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება 100-ქულიანი სისტემით ხორციელდება.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შეფასებების სისტემა სასწავლო კურსებისთვის ხუთ დადებით და ორ უარყოფით შეფასებას მოიცავს, კერძოდ: 91-100 (A - ფრიადი); 81- 90 (B - ძალიან კარგი); 71-80 (C - კარგი); 61-70 (D - დამაკმაყოფილებელი); 51-60 (E - საკმარისი); 41-50 (FX - „ვერ ჩააბარა“, სტუდენტს ეძლევა მოცემულ დისციპლინაში საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება); 0-40 (F - „ჩაიჭრა“, სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს მოცემული დისციპლინის კურსი).

შეფასების სისტემა სადისერტაციო ნაშრომისთვის, ასევე, ხუთ დადებით და ორ უარყოფით შეფასებას მოიცავს, კერძოდ: ფრიადი – შესანიშნავი ნაშრომი; ძალიან კარგი – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; კარგი – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; საშუალო – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს; დამაკმაყოფილებელი – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; არადამაკმაყოფილებელი – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს; სრულიად არადამაკმაყოფილებელი – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სასწავლო კურსების შეფასებისთვის იყენებენ შემდეგ მეთოდებს/მიდგომებს: ზეპირი განხილვა, დებატები (ზეპირი); გამოკითხვები წინასწარი მომზადების გარეშე (ზეპირი ან წერილობითი); მოკლე ტესტირება (წერილობითი); საკურსო შრომა (წერილობითი); ესე, კრიტიკული ნაშრომი, ანალიტიკური ნაშრომი და სხვ. (წერილობითი); პროექტის პრეზენტაცია; ტექსტის ანალიზი (ზეპირი და წერილობითი); საბოლოო ტესტირება (წერილობითი); საბოლოო გამოცდა (ზეპირი, ან წერითი, ან პროექტი). მოცემული მეთოდები რელევანტურია იმდენად, რამდენადაც ისინი დოქტორანტის სხვადასხვა უნარის განვითარებას ემსახურება, როგორც ვერბალური/ზეპირი, ისე წერილობითი კომუნიკაციის კუთხით.

დეტალურადაა გაწერილი, რელევანტური და ადეკვატურია სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებიც.

წინა აკრედიტაციის დროს პროგრამამ მოცემულ ქვესტანდარტში (2.4.) ექსპერტებმა გასცეს ორი რეკომენდაცია, რომლებიც ეხებოდა, ერთი მხრივ, სტუდენტების დეტალურ ინფორმირებას შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით, მეორე მხრივ კი, სადისერტაციო ნაშრომის ერთჯერადად შეფასებას. 2023 წლის 6 სექტემბერს უსდ-ს მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციების შესახებ ანგარიშის დასკვნაში ექსპერტმა აღნიშნა, რომ ორივე რეკომენდაცია შესრულებული იყო.

ამავე დასკვნაში ყურადღება იყო გამახვილებული იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ უსდ-მ გაითვალისწინა პლაგიატიზმის აღმომჩენი კომპიუტერული პროგრამის შექმნის შესახებ რჩევაც და 2023 წლის 31 მარტს ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა პოლონურ კომპანია შპს Plagiat.pl. SP. z o o-სთან. 2023 წლის 27 ოქტომბერს მონიტორინგის მიზნით მივლენილი ექსპერტებს ინტერვიუების პროცესში უსდ-ს წარმომადგენლებმა უთხრეს, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ან აღნიშნული ხელშეკრულების ვადა გაგრძელდება, ანდა, შესაძლოა, უსდ-მ სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ერთობლიობით შეიძინოს პლაგიატიზმის აღმომჩენი პროგრამა TURNitIN-ი.

მონიტორინგის მიზნით მივლენილი ექსპერტების ჯგუფი ინტერვიუების შედეგების, აგრეთვე სილაბუსების და მოდიფიცირებული პროგრამის ხელახალი შესწავლის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ პროგრამა შესაბამისობაშია კომპონენტ 2.4-ის მოთხოვნებთან. კერძოდ, სილაბუსში დეტალურად და გამჭვირვალედაა გაწერილი კურსების შეფასების სისტემა კომპონენტებითურთ, აგრეთვე, ჩაშლილია თითოეული კომპონენტის შეფასების რუბრიკები; მარეგულირებელი დოკუმენტების ამჟამინდელი რედაქციაში გაწერილი პროცედურების თანახმად, სადისერტაციო ნაშრომის ქულობრივი შეფასება ხორციელდება ერთჯერადად დისერტაციის დაცვის შემდგომ სადისერტაციო კომისიის მიერ. რაც შეეხება რეცენზენტების შეფასებას, რეცენზენტები გასცემენ რეკომენდაციას ან - ნაშრომის დაცვაზე დაშვების, ან - პირობითი დაშვების, ანდა - არდაშვების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურა მედიაში“ (ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე N8, 27.04.2021 და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე N 7, 02.06. 2021) თანდართული სილაბუსებით;
- სადოქტორო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის წესები;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- დოქტორანტურის დებულება;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება N3 „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი;
- 2023 წლის 6 სექტემბერს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა („კულტურა მედიაში“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი);
- ელექტრონული პორტალი და უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, ათვისების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდამჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის - „კულტურა მედიაში“ - დოქტორანტები იღებენ კონსულტაციას და მხარდამჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. დოქტორანტები ინფორმირებულნი არიან უნივერსიტეტში, პროგრამის განხორციელების ფარგლებში არსებული კონსულტაციებისა თუ სხვა მხარდამჭერი აქტივობების შესახებ და საშუალება აქვთ, წინასწარ გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონ სასურველი დისციპლინა.

დოქტორანტებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

უსდ პერმანენტულად უზრუნველყოფს, პროგრამის ფარგლებში, როგორც აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების, ისე კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვებს. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური ხშირად კონკრეტული პროექტის დასრულების შემდეგაც აგზავნის კითხვარს, რათა დაადგინოს სტუდენტთა კმაყოფილება.

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, შეიძლება ითქვას, დოქტორანტების მობილობა კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად შესაძლებელია საზღვარგარეთ, დაწესებულების პარტნიორ უნივერსიტეტებში.

უსდ ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, სტიპენდიების გაცემას, მათ დაფინანსებას, თანადაფინანსებას კონფერენციებსა თუ სხვა სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში.

უნივერსიტეტი აქტიურადაა ჩართული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარებისთვის მხარდამჭერ ღონისძიებებში: აწვდის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, სხვადასხვა გამომცემლობასა თუ ტელე-რადიომაუწყებელთან, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას თავიანთი ინტერესების შესაბამისად, ითანამშრომლონ და გაიარონ პრაქტიკა, ასევე, საჭიროებისამებრ, ჰქონდეთ წვდომა არქივზე.

უნივერსიტეტს აქვს საერთაშორისო გაცვლით აქტივობებში სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემულ ქვესტანდარტთან დაკავშირებით არ იყო გაცემული რეკომენდაციები, თუმცა დაფიქსირებულია რჩევები, რომლებიც, რეკომენდაციების შესრულების ანგარიშისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ შესრულებულია. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელებმა გაითვალისწინეს რჩევა და ჩაერთნენ სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ ორგანიზებულ მედიაგანათლების პროგრამაში, რის შედეგადაც პროგრამის

განმახორციელებელი პერსონალი ორკვირიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ ჩიკაგოს და დეპოლის უნივერსიტეტებში და მონაწილეობა მიიღეს ამერიკელი პროფესორების მიერ ორგანიზებული სესიებისა და სემინარების მუშაობაში. დაგეგმეს ჩიკაგოს უნივერსიტეტთან მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება სტუდენტების მიერ ერთობლივი საერთაშორისო პროექტების მომზადება. ასევე, ერთ-ერთი ასოცირებული პროფესორი ჩართულია ერასმუს+ პროგრამაში და უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას სათანადო კადრებად.

2023 წლის 27 ოქტომბერს მონიტორინგის ვიზიტით მივლენილი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პროგრამა სრულ შესაბამისობაშია 3.1. ქვესტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან..

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- უსდ-ს მემორანდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ორგანიზაციებთან - საჯარო/კერძო დაწესებულებებთან;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმები და შედეგები;
- 2023 წლის 6 სექტემბერს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა (“კულტურა მედიაში” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი);
- ინტერვიუს შედეგები;
- უსდ-ს ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას - „კულტურა მედიაში“ - ახორციელებენ შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელები.

პროგრამა თითოეულ დოქტორანტს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელით უზრუნველყოფს. ამასთან, შესაძლებელია თანახელმძღვანელის დანიშვნაც. ეს პროცედურები შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტაციით რეგულირდება.

უსდ-ს მიერ წერიითი ნაშრომის შესრულების სტანდარტები შიდასამართლებრივი აქტებით არის განსაზღვრული, რომელთა შესაბამისად ხდება ნაშრომის მომზადება, ფორმალური და შინაარსობრივი თვალსაზრისით განსაზღვრა და მისი საჯარო დაცვა.

პროგრამის ფარგლებში დაცული დისერტაციები შესრულებულია აკადემიური და სამეცნიერო სტანდარტების გათვალისწინებით. მოწოდებული დისერტაციებიდან უახლესი გასულ წელს დაცული სადოქტორო ნაშრომი იყო.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედებს პლაგიატის პრევენციის, პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება პროგრამის ფარგლებში დამუშავებული და წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომების შემოწმება.

წინა აკრედიტაციის პირობებში, მოცემულ ქვესტანდარტში ფიქსირდებოდა ერთი რეკომენდაცია, რომელიც ხელმძღვანელების რაოდენობის გაზრდას შეეხებოდა, თუმცა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ აღნიშნული რეკომენდაცია ამოიღო რეკომენდაციის ნუსხიდან. ამჟამად პროგრამას ჰყავს 8 აქტიური სტუდენტი, თითოეულ მათგანს ხელმძღვანელობს დარგში კვალიფიციური აკადემიური პერსონალი. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალიდან დისერტაციის ხელმძღვანელობის ფუნქცია აქვს -3-ს. რვა აქტიური სტუდენტის პირობებში სამი ხელმძღვანელის არსებობა საკმარისია, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში განიხილება თანახელმძღვანელის, ანდა - ხელმძღვანელის მოწვევა.

სტუდენტებთან ინტერვიუებმა ნათელი გახადა, რომ ისინი კმაყოფილები არიან საკუთარ ხელმძღვანელებთან თანამშრომლობის პროცესით, მუდმივად გრძნობენ მათ მხარდაჭერას და საჭიროებისამებრ ღებულობენ საკონსულტაციო, ან სხვა სახის მომსახურებას. სამივე ხელმძღვანელის პირადი საქმეები (CV) ცხადყოფს, რომ ისინი არიან დარგში კვალიფიციური პროფესიონალები, მათი სამეცნიერო ინტერესები და აქტივობები სრულად შეესაბამება მასობრივი კომუნიკაციის სფეროს. ამრიგად, პროგრამა შესაბამისობაშია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტების კომპონენტ 3.2-თან.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	3
დოქტორანტების რაოდენობა	8
თანაფარდობა	< 1/3

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურა მედიაში“ (ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე N8, 27.04.2021 და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე N 7, 02.06. 2021) თანდართული სილაბუსებით;
- სადოქტორო აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში - კულტურა მედიაში - ჩართული პედაგოგიური პერსონალის სია;
- დისერტაციის ხელმძღვანელების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (CV);
- დაცული დისერტაციები;
- ნაშრომის შესრულების წესი;
- ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის დანიშვნის წესი;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა კულტურა მედიაში, 2021 წლის 15 დეკემბერი)
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 12 იანვრის #15470 გადაწყვეტილება
- მონიტორინგის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას „კულტურა მედიაში“ ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და აუცილებელი კომპეტენციის მქონე პირები. 2021 წლის 15 დეკემბრის რეაკრედიტაციის დასკვნაში, რომელიც აკრედიტაციის ჯგუფის ექსპერტების ავტორობით მომზადდა, აღნიშნულია, რომ, “პროგრამაში ჩართულ პერსონალს გააჩნია სტანდარტების შესაბამისი კვალიფიკაცია როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული კუთხით, რაც მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პროგრამა თანაბრად მოიცავს როგორც სოციალურ, ასევე სახელოვნებო კომპონენტებს. ყურადსაღებია, რომ კადრების შერჩევისას ყურადღება კომპლექსურად ექცევა პედაგოგიურ, პრაქტიკულ (ჟურნალისტურ) და სამეცნიერო გამოცდილებას”.

პროგრამაში აღნიშნულია, რომ “პროგრამაში ჩართულები არიან ხელოვნების ისტორიისა და თეორიის, მასობრივი კომუნიკაციის, სახელოვნებო მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის მიმართულებების მკვლევრები, მეცნიერები, შესაბამისი დარგების გამოჩენილი და თვალსაჩინო წარმომადგენლები, პროფესორები.

თითოეულ მათგანს ბოლო 10 წლის განმავლობაში აქვს არაერთი სამეცნიერო პუბლიკაცია თუ სამეცნიერო პროექტი. პროგრამის ფარგლებში ასწავლიან აგრეთვე მოწვეული მასწავლებლები, რომლებსაც აქვთ შესაბამის დარგში მუშაობის რამდენიმეწლიანი პრაქტიკული გამოცდილება.”

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 8 აკადემიური პერსონალი, აქედან 3 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი. მოწვეული პერსონალის რაოდენობაა – 6. პროგრამის არსებობის 10 წლის მანძილზე ჰყავს 4 კურსდამთავრებულია და 8 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.

2021 წლის 15 დეკემბრის აკრედიტაციის დასკვნაში აღნიშნულია, რომ “პროგრამის ფარგლებში ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება როგორც მათი სასწავლო, ასევე კვლევითი საქმიანობის შესაბამისად. ხარისხის სამსახური რეგულარულად ატარებს გამოკითხვებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაფასებლად. ასევე, აკადემიური პერსონალი რეგულარულად წარუდგენს კვლევების საერთაშორისო კრებულს“. ამას გარდა, უსდ გამოსცემს ყოველკვარტალურ სამეცნიერო ჟურნალს სახელწოდებით „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“.

სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ პროფესორებთან. პროგრამის ხელმძღვანელები (ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ჟურნალისტიკის დოქტორი და სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი) მათი მდიდარი პრაქტიკული და სამეცნიერო გამოცდილებიდან გამომდინარე, დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობა ასახულია ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებითა და ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებებით.

2023 წლის 27 ოქტომბერს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „კულტურა მედიაში“ მონიტორინგის ფარგლებში მოწვეული ექსპერტების მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტერვიუებისას აღმოჩნდა, რომ ისინი არიან ინფორმირებულნი და საკმაოდ აქტიურად ჩართულნი სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში.

უსდ ატარებს ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციას და გამოსცემს საერთაშორისო სამეცნიერო კრებულს, ატარებს ტრენინგებს და ჩართულია ერაზმუს + საერთაშორისო პროექტში, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია პედაგოგების და სტუდენტების ტრენინგები. უსდ ასევე უზრუნველყოფს ტრენინგების, დისტანციური შეხვედრებისა და გამოცდილების გაზიარების სესიების ორგანიზებას პერსონალისათვის. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ პერსონალი ინფორმირებულია ამ ღონისძიებების შესახებ და აქტიურად მონაწილეობენ.

პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართულები სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში. მათ გამოქვეყნებული აქვთ არაერთი სამეცნიერო ნაშრომი და, ასევე, დაწერილი აქვთ სპეციალური სახელმძღვანელოები, რომლებითაც სარგებლობს საქართველოში მოქმედი ჟურნალისტიკის მიმართულების ბევრი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა.

ამრიგად, პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას, აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ორივე ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. ამასთან ერთად

ორივე ხელმძღვანელი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელების პროცესში (როგორც სასწავლო, ისე კვლევით კომპონენტებში). სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს უსდ სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით უზრუნველყოფს.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁷	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁸	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	8	8	8	7
- პროფესორი	3	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	4	4	4	3
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	6	6	6	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურა მედიაში“ (ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე N8, 27.04.2021 და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე N 7, 02.06. 2021) თანდართული სილაბუსებით;
- სამეცნიერო ჟურნალების ელექტრონული ბმულები, სამეცნიერო კონფერენციების მასალები

<https://artsmediajournal.tafu.edu.ge/>

<https://dziebani2.tafu.edu.ge/wp-content/uploads/2023/06/Art-Scienc-Studies-2-75-2018.pdf>

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁸ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

https://www.tafu.edu.ge/files/pdf/conf/XVI_art/16%20th%20Conference%202023%20Program.pdf

https://www.tafu.edu.ge/files/pdf/conf/XIV_art/annot%202021%20GEO.pdf

- 2023 წლის 19 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში სადოქტორო პროგრამის - კულტურა მედიაში - შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- 2023 წლის 27 ოქტომბერს მონიტორინგის ვიზიტისას პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, აგრეთვე ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

2021 წლის 15 დეკემბრის აკრედიტაციის ექსპერტების დასკვნაში რეკომენდებული იყო, რომ უსდ-ს გაეზარდა სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელთა რაოდენობა, ყურადღება მიჰქცეოდა დოქტორანტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობას, რათა უზრუნველყოფილიყო სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესაბამისად მათთვის ხელმძღვანელების შეთავაზება და ხელმძღვანელთა ოპტიმალური დატვირთვა. ეს რეკომენდაცია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 12 იანვრის #15470 გადაწყვეტილებაში არ იქნა შეტანილი. თუმცა, უსდ-მ მაინც გაითვალისწინა. კერძოდ, 2023 წლის ივნისში უსდ-ს მიერ წარდგენილ ანგარიშში რეკომენდაციების შესრულების შესახებ, აღნიშნულია, რომ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა 3-დე გაიზარდა.

მონიტორინგის ექსპერტების ვიზიტის ფარგლებში ცხადი გახდა, რომ ამ ეტაპზე სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელთა რაოდენობა საკმარისია. ინტერვიუებისას სადოქტორო პროგრამის სტუდენტები და დისერტაციის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ მათ შორის არის აქტიური საქმიანი ურთიერთობა სწავლის ყველა ეტაპზე.

მაშასადამე, პროგრამის აქტიურ დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში მოწვეული თანახელმძღვანელი/ხელმძღვანელი, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურა მედიაში“ (ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე N8, 27.04.2021 და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე N 7, 02.06. 2021) თანდართული სილაბუსებით;
- სამეცნიერო ჟურნალების ელექტრონული ბმულები, სამეცნიერო კონფერენციების მასალები

<https://artsmediajournal.tafu.edu.ge/>

http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=conf_samec

<https://dziebani2.tafu.edu.ge/wp-content/uploads/2023/06/Art-Scienc-Studies-2-75-2018.pdf>

https://www.tafu.edu.ge/files/pdf/conf/XVI_art/16%20th%20Conference%202023%20Program.pdf

https://www.tafu.edu.ge/files/pdf/conf/XIV_art/annot%202021%20GEO.pdf

- საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (CV);
- 2023 წლის 19 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში სადოქტორო პროგრამის - კულტურა მედიაში - შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- 2023 წლის 27 ოქტომბერს მონიტორინგის ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელი	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ს				
კვალიფიკაცია				

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას „კულტურა მედიაში“ 2021 წლის 15 დეკემბრის რეაკრედიტაციის დასკვნის საფუძველზე 2022 წლის 12 იანვარს დამტკიცებულ გადაწყვეტილებაში მე-6 განისაზღვრა ; “სასურველია, დოქტორანტთა და პროგრამის აკადემიური პერსონალის ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში, საერთაშორისო ფორუმებსა და კონფერენციებში მეტად ჩართვა”.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ 2023 წლის 9 სექტემბერს მომზადებულ დასკვნაში წარმოდგენილია მე-6 რჩევის შემდეგი შეფასება: “რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის თანახმად, „პროგრამის ხელმძღვანელებმა გაითვალისწინეს მეექვსე რჩევა და პროგრამის ხელმძღვანელები და პროგრამაში ჩართული პროფესორები სისტემატურად მონაწილეობენ საერთაშორისო სემინარებში, სამეცნიერო კონფერენციებში, ტრენინგებში.“ ანგარიშის ავტორებს მტკიცებულებებად აქვთ: „უნივერსიტეტის ვებ გვერდის შესაბამისი ლინკები, ტრენინგების პრომო ვიდეოები, პროფესორების შესაბამისი სერტიფიკატები. “ (რეკომენდაციების შესრულების შესახებ უსდ-ს ანგარიში, გვ:2). თუმცა მტკიცებულებათა საქალაქდემი „დამატებითი დოკუმენტაცია“ არ არის წარმოდგენილი სერტიფიკატები, არც -ვორდის დოკუმენტი, რომელშიც დაკოპირებული იქნებოდა საერთაშორისო კონფერენციების, ანდა პრომო-ვიდეოების ლინკები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მტკიცებულებების ნაწილი ბუნდოვანია. გამომდინარე იქიდან, რომ უსდ-ში არაერთი სამეცნიერო კონფერენცია ტარდება,

აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელები, დარგში ცნობილი პროფესიონალები არიან, ანგარიშის შესწავლისას ექსპერტი დარწმუნებულია, რომ მე-6 რჩევა სრულად შესრულდა. ამასთან ერთად, უსდ-ს ანგარიშში მე-3 რჩევის შესრულების შესახებ აღწერილი აქტივობები პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელისა და ერთ-ერთი ასოც. პროფესორის აშშ-ში გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამით ვიზიტი), ექსპერტის შეხედულებით, ადასტურებს მე-6 რჩევის შესრულებას. ამ შემთხვევაშიც ურიგო არ იქნებოდა, მტკიცებულებად წარმოდგენილი ყოფილიყო აშშ-ს სახელმწიფო დეპარამენტის მედია განათლების პროექტი/MEP -ში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები, რაც ყველა მონაწილეზე გაიცემა, აგრეთვე ას.პროფ. „ერასმუს+“-ში მონაწილეობის შესახებ ხელშეკრულება, რასაც მასპინძელი უნივერსიტეტები სავალდებულოდ უფორმებენ მონაწილეებს. მტკიცებულებებთან დაკავშირებული ხარვეზების მიუხედავად, ექსპერტი ასკვნის, რომ მე-6 რჩევა სრულად შესრულდა”.

მე-6 რჩევის სრულად შესრულების დამატებითი მტკიცებულებები მიღებული იქნა 2023 წლის 27 ოქტომბერს სადოქტორო პროგრამის მონიტორინგის ექსპერტების ვიზიტის დროს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში. ექსპერტებმა ინტერვიუ ჩაატარეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. გასაუბრებამ და ექსპერტების მიერ მოთხოვნილმა დამატებითი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების წარმოდგენამ ცხადყო რჩევის შესრულება.

უსდ-მ წარმოადგინა რამდენიმე საუნივერსიტეტო ტრენინგის ორგანიზების მტკიცებულებები, მათ შორის აღსანიშნია აკადემიური პერსონალისათვის საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოყენების შესახებ ჩატარებული ღონისძიებები.

ხარისხის სამსახური პერიოდულად ატარებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების შესახებ გამოკითხვებს, ანალიზებს შედეგებს და უსდ-ს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით გეგმავს პერსონალის განვითარებისათვის ხელშემწყობ აქტივობებს. ამასთან ერთად ყოველწლიურად გროვდება და ანალიზდება მონაცემები უსდ-ს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შესახებ. დასკვნის სახით უნდა აღნიშნოს, რომ უსდ ზრუნავს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურა მედიაში“ (ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე N8, 27.04.2021 და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე N 7, 02.06. 2021) თანდართული სილაბუსებით;
- სამეცნიერო ჟურნალების ელექტრონული ბმულები, სამეცნიერო კონფერენციების მასალები
<https://artsmediajournal.tafu.edu.ge/>
http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=conf_samec
<https://dziebani2.tafu.edu.ge/wp-content/uploads/2023/06/Art-Scienc-Studies-2-75-2018.pdf>
https://www.tafu.edu.ge/files/pdf/conf/XVI_art/16%20th%20Conference%202023%20Program.pdf
https://www.tafu.edu.ge/files/pdf/conf/XIV_art/annot%202021%20GEO.pdf
- საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (CV);
- 2023 წლის 19 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში სადოქტორო პროგრამის - კულტურა მედიაში - შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- 2023 წლის 9 სექტემბრის დასკვნა ანგარიშის შესახებ;
- 2023 წლის 27 ოქტომბერს მონიტორინგის ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	x	□	□	□

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა ხორციელდება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, რომლის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. ამ მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტის პირველ და მეორე კორპუსებში ფუნქციონირებს რამდენიმე სასწავლო აუდიტორია, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით.

უნივერსიტეტს აქვს საკუთარი სასწავლო ტელევიზია (Tafu TV) და ფეისბუქგვერდი. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი გამომცემლობა და პერიოდული ბეჭდური ორგანო - გაზეთი „დურუჯი“, სამეცნიერო პერიოდული ჟურნალი „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“.

წინა აკრედიტაციის პროცესში აღნიშნულ ქვესტანდარტში გაიცა ერთი რეკომენდაცია, რომელიც ბიბლიოთეკის საჭირო ლიტერატურით შევსებასა და მისი გაციფრულების პროცესის დასრულებას შეეხებოდა.

რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2022 წლის თებერვალში საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ რექტორი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები,

ელექტრონული სისტემების ადმინისტრატორი და სხვა ადმინისტრაციული პერსონალი. აღნიშნულ შეხვედრაზე განხილულ იქნა პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ჭრილში უცხოენოვანი ლიტერატურის მოძიების საკითხი, საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შეძენის საკითხი, ლიტერატურის გაციფრულება და საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის სრულყოფა. შესაბამისი დავალებები მიეცათ სხვადასხვა განყოფილებების ხელმძღვანელ პირებს. მტკიცებულებათა საქაღალდეში წარმოდგენილია ბიბლიოთეკის დირექტორის - ანგარიშის მიხედვით შექმნილი მედიის მიმართულების სადოქტორო პროგრამისთვის შეძენილი წიგნების სია. აღნიშნული დოკუმენტი ადასტურებს, რომ საანგარიშო პერიოდში სადოქტორო პროგრამისათვის შეძენილ იქნა 16 ნაბეჭდი და 78 ელექტრონული წიგნი, მათ შორის უმრავლესობა - ინგლისურენოვანია. აღნიშნული წიგნები იძებნება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგშიც.

დამატებით ამისა, ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან შეხვედრისა და რამდენიმე სავალდებულო ლიტერატურის ელექტრონულად მოძიების შემდეგ, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიბლიოთეკა პროგრამისთვის რელევანტური ლიტერატურით, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით, უზრუნველყოფილია.

მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს, გაჟღერდა სასწავლო ბაზის მოდერნიზების სურვილი, რაც მოცემულ ქვესტანდარტში, ჩვენი მხრიდან, რჩევის საფუძველი გახდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ის შენობების დათვალიერება, შეხვედრა აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან;
- საბიბლიოთეკო რესურსი;
- სასწავლო ტელევიზია - TAFU TV;
- ვებგვერდი - tafu.edu.ge;
- საქართველოს შოთა რუსთველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეისბუქ გვერდი;
- სამეცნიერო შრომების კრებული - „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“;

- სტუდენტთა სასწავლო ელექტრონული ბაზა;
- 2023 წლის 19 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში სადოქტორო პროგრამის - კულტურა მედიაში - შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- 2023 წლის 9 სექტემბრის დასკვნა ანგარიშის შესახებ;
- 2023 წლის 27 ოქტომბერს მონიტორინგის ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

2022 წლის 15 დეკემბრის დასკვნაში აკრედიტაციის ექსპერტებმა მიუთითეს, რომ როგორც მთლიანად უსდ, ისე კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად უზრუნველყოფილი იყო. კერძოდ, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები- როგორც საკუთარი შემოსავალი, ისე - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ყოველწლიურად გამოყოფილი ასიგნებები, ჯამში 4 მილიონ ლარზე მეტი. შესაბამისად, აღნიშულ კომპონენტთან დაკავშირებით ექსპერტებს რეკომენდაცია არ გაუციათ. თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებაში გასცა რეკომენდაცია: “რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა”.

2023 წლის ივნისში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშში უსდ-მ წარმოადგინა სადოქტორო პროგრამის დეტალური ბიუჯეტი. რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის შესახებ დასკვნაში ექსპერტმა აღნიშნა, რომ “2022-2023 სასწავლო წელს პროგრამის ბიუჯეტი იყო 16 700 ლარი, აქედან უშუალოდ პროგრამის შემოსავალი შეადგენდა 9 100 ლარს, რაც საერთო ბიუჯეტის დაახლოებით 55%-ია. ბიუჯეტიდან ჩანს, რომ პროგრამას წლის დასაწყისში ჰყავდა 5 აქტიური სტუდენტი, რაც ნიშნავს, რომ პროგრამას მომდევნო წლებშიც აქვს შემოსავალი. ამდენად, რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს”.

2023 წლის 27 ოქტომბერს მონიტორინგის მიზნით მივლენილი ექსპერტები გაესაუბრნენ უსდ-ს პრორექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის დეკანს, გაეცნენ ფინანსურ დოკუმენტაციას და დარწმუნდნენ, რომ როგორც უსდ-ს, ისე სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი და, სახელდობრ, სადოქტორო პროგრამა “კულტურა მედიაში” ფინანსურად მდგრადია, დაფინანსების წყაროები და ოდენობა უცვლელია, შესაბამისად, პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა კულტურა მედიაში, 2021 წლის 15 დეკემბერი)

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება 12/01/2022 წლის №15470;
- 2023 წლის 6 სექტემბერს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა (“კულტურა მედიაში” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი);
- 2023 წლის 27 ოქტომბერს მონიტორინგის ვიზიტისას მმართველი მენეჯმენტის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- უსდ-ს და პროგრამის ბიუჯეტები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის ექსპერტთა 2021 წლის 15 დეკემბრით დათარიღებულ დასკვნაში აღნიშნული კომპონენტის აღწერილობის ნაწილში ნათქვამია, რომ “უსდ მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისათვის იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს: დაინტერესებული პირების - სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვა. სამსახური ასევე უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ყოველწლიური სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასებას, რომელიც ხორციელდება სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანალიზის საფუძველზე. შეფასება ხორციელდება გამოკითხვების, სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდული მონიტორინგისა და კოლეგიალური შეფასებისაგან, მიღებული უკუკავშირის შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავების პროცესში.” მიუხედავად პოზიტიური აღწერილობისა, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც რეკომენდებული

იყო “ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა პროგრამის ფარგლებში, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შინაარსობრივი მხარის შესაბამისობაში მოყვანა დადგენილ მოთხოვნებთან და ასევე, უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ბაზაში ან/და ბიბლიოთეკაში პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მასალების ხელმისაწვდომობის საკითხი”. თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებაში აღნიშნული რეკომენდაციის ფორმულირება შეცვალა და შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: “რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის და პროგრამასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.”

რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშში უსდ-მ წარმოადგინა რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა შიდა ხარისხის განხორციელების მექანიზმების დახვეწას. ანგარიშის შესახებ დასკვნაში ექსპერტმა მიუთითა, “საანგარიშო პერიოდში დაიხვეწა შიდა ხარისხის მუშაობის მექანიზმები. ხორციელდება ლექციებზე კოლეგიალური დასწრება, სტუდენტები აფასებენ ყველა სასწავლო კურსებს, აკადემიური წლის ბოლოს ფასდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და პედაგოგიური აქტივობები, როგორც რაოდენობრივი, ისევე - თვისებრივი მახასიათებლების მიხედვით. „2021-2022 სასწ. წელს შემუშავდა მონიტორინგისა და ანალიზის სხვა მექანიზმებიც:

1. შემუშავდა სპეციალური რეგულაცია სწავლის შედეგების მონიტორინგისთვის: სწავლების ხარისხის შეფასებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის წესი (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2021. 29.05, ოქმი #5);
2. შემუშავდა სპეციალური ფორმულარი სწავლის შედეგებისა და სამიზნე ნიშნულების სტუდენტების სემესტრულ ქულობრივი მაჩვენებელთან დადარებისთვის;
3. შეიქმნა ლექციების ჩატარების მონიტორინგის სისტემა, მონაცემების შეგროვების, დაჯამების და რეაგირების მექანიზმები და ამოქმედდა შიდა მონიტორინგის სამსახური.
4. შეგროვილი მონაცემების საფუძველზე გაკეთდა ხარისხის სამსახურის ანალიზები, რეკომენდაციები და ანგარიშები“. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია შეფასდა, როგორც “შესრულებული”.

2023 წლის 27 ოქტომბერს მონიტორინგის მიზნით მისული ექსპერტები წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუების საფუძველზე კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ პროგრამა კომპონენტი 5.1-ის მოთხოვნებს შეესატყვისება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა კულტურა მედიაში, 2021 წლის 15 დეკემბერი)
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება 12/01/2022 წლის №15470;
- 2023 წლის 6 სექტემბერს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა (“კულტურა მედიაში” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი);
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური გამოკითხვების ანალიზის ანგარიშები;
- აკადემიური პერსონალის წლიური პედაგოგიური და სამეცნიერო/შემოქმედებითი მუშაობის ანგარიშების ზოგადსაუნივერსიტეტო შეფასება-ანალიზი 2021-2022 სასწავლო წლის მიხედვით;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ მომზადებულ 2022 წლის 15 დეკემბრით დათარიღებულ დასკვნაში აღნიშნულია, რომ აკრედიტაციის პროცესში მომზადებულ დოკუმენტაციაში სადოქტორო პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება მოამზადა გურამ თავართქილაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა. ამავე დასკვნით თანახმად, “უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, განხორციელდა 2 ადგილობრივი მსგავსი პროგრამის შესწავლა და საგანმანათლებლო პროგრამის დადარება აშშ-სა და კანადის 3 საერთაშორისო ანალოგიურ პროგრამასთან. თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუების პროცესში დადგინდა, რომ პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოცდილება, ასევე გაზიარებულ იქნა დარგის შესაბამისი საუკეთესო პრაქტიკა, თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით... უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, პროგრამის დაინტერესებული მხარეების შეფასებასა და გარე ექსპერტის შეფასებას.” აღნიშნულ ქვესტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტებს რეკომენდაცია არ ჰქონიათ, რეკომენდაცია არ გაუცია არც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს.

2023 წლის 27 ოქტომბრის მონიტორინგის ვიზიტისას ექსპერტები წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დარწმუნდნენ, რომ კომპონენტი 5.2-თან დაკავშირებით პროგრამას დამატებითი აქტივობები არ განუხორციელებია და ეს არც

ევალებოდა. შესაბამისად, მონიტორინგის ექსპერტებსაც მიაჩნიათ, რომ აღნიშნული კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა კულტურა მედიაში, 2021 წლის 15 დეკემბერი)
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება 12/01/2022 წლის №15470;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური გამოკითხვების ანალიზის ანგარიშები;
- მონიტორინგის მიზნით განხორციელებული ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

5.2 ხარისხის შეფასება	გარე	X	□	□	□
-----------------------------	------	---	---	---	---

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ მომზადებულ 2022 წლის 15 დეკემბრით დათარიღებულ დასკვნაში კომპონენტი 5.3. დადებითად არის შეფასებული, ექსპერტებს რეკომენდაცია არ გაუციათ. დოკუმენტის თანახმად, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „კულტურა მედიაში“ ფარგლებში იყენებენ პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების ისეთ მექანიზმებს, როგორცაა “კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა გამოკითხვა და საგანმანათლებლო პროგრამის გარე ექსპერტიზა. 2012 წელს გავლილი სააკრედიტაციო პროცესის შედეგად და პერიოდული შეფასების მექანიზმების გამოყენებით მიღებული რეკომენდაციები კი გამოყენებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, კურიკულუმის დახვეწისა და შესათავაზებელი საგნების მრავალფეროვნების უზრუნველყოფის მიმართულებით. გარდა ამისა, უსდ-ს გარე შეფასების ერთ-ერთი მექანიზმია საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს აუდიტი. განვითარების ციკლის უწყვეტობიდან გამომდინარე, აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში.” მართალია, აკრედიტაციის ექსპერტებს აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით რეკომენდაცია არ გაუციათ, თუმცა რეკომენდაცია გასცა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ. აღნიშნული რეკომენდაციის თანახმად, “რეკომენდებულია, პროგრამის პერიოდული მონიტორინგის მექანიზმების ამუშავება”.

უსდ-ს მიერ 2023 წლის 15 ივნისს წარმოდგენილი ანგარიში რეკომენდაციების შესრულების შესახებ შეაფასა ექსპერტმა, რომელმაც საკუთარ დასკვნაში მიუთითა, რომ “მტკიცებულებების საქალაქო დონეზე წარმოდგენილია ანალიზის ორი დოკუმენტი...”

1. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი სახელოვნებო

მეცნიერებათა, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგები (2021-2022 სასწავლო წელი);

2. სწავლის შედეგების ანალიზი 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგები; სადოქტორო პროგრამა „კულტურა მედიაში“.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების აღწერილობის თანახმად, „პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების,

დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით“. ამავე სტანდარტის კიდევ ერთი განმარტების მიხედვით „სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების სტუდენტები აფასებენ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის, ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელობის განხორციელებას“.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით უმჯობესი იქნებოდა, რომ საანგარიშო პერიოდში უსდ-ს ხარისხის სამსახურს მოემზადებინა პროგრამაში ჩართული მხარეების გამოკითხვა და ანალიზი, გაენალიზებინა მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები. თუკი აღნიშნული ანალიზის მიხედვით გამოიკვეთებოდა, იმ შემთხვევაში გაეცა მოდიფიცირებისა და გაუმჯობესების რეკომენდაციები.“ ამდენად, ექსპერტმა მიიჩნია, რომ რეკომენდაცია არ შესრულებულა. თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ ჩათვალა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდა - (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES 7 23 0001322793, 07/10/2023).

2023 წლის 27 ოქტომბერს მონიტორინგის მიზნით მივლენილი ექსპერტების ჯგუფი შეხვდა ფაკულტეტის ხარისხის წარმომადგენლებს, გაეცნო მათ მიერ მომზადებულ სტანდარტულ დოკუმენტაციას - სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზს, მოწვეული და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-პედაგოგიური ანგარიშების დამუშავების შედეგად შექმნილ ანალიტიკურ მასალებს. პირისპირ შეხვედრისას ექსპერტებს განუმარტეს, რომ უსდ დამსაქმებლებთან ფოკუს ჯგუფებს, ასევე ბაზრის კვლევას სამ წელიწადში ერთხელ ახორციელებს. სადოქტორო პროგრამის - “კულტურა მედიაში” დამსაქმებლების კვლევა

ჩატარდა 2021 წელს, როდესაც პროგრამა რეაკრედიტაციის პროცესისთვის ემზადებოდა, შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტები წარდგენილ იქნა რეაკრედიტაციის პაკეტში. ამავე პაკეტში იყო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვაც. 2022 წლის აკრედიტაციის შემდგომ სადოქტორო პროგრამა მხოლოდ ერთმა სტუდენტმა დაასრულა, შესაბამისად, სამონიტორინგო პერიოდში კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ჩატარების საჭიროება არ არსებობდა.

მონიტორინგის ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე ფაკულტეტის ხარისხის სამსახურმა მოგვაწოდა სამონიტორინგო წელიწადნახევრიან პერიოდში შექმნილი შეფასების დოკუმენტები:

ა) მედიისა და მენეჯმენტის მიმართულება 2022-2023 სასწავლო წელს ჩატარებული დოქტორანტთა გამოკითხვის შეფასება-ანალიზი სამეცნიერო ხელმძღვანელის შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში ფაკულტეტის ორი სადოქტორო პროგრამის 6 დოქტორანტი იქნა გამოკითხული;

ბ) 2021-2022 სასწავლო წლის შედეგების მიხედვით მომზადებული ზოგად საუნივერსიტეტო შეფასება-ანალიზი, რომელიც ეხებოდა აკადემიური პერსონალის წლიურ პედაგოგიურ და სამეცნიერო/შემოქმედებითი მუშაობას.

ინტერვიუების დროს ხარისხის სამსახურთან პერიოდული შეხვედრების ფაქტები დაადასტურეს პროგრამის აქტიურმა სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა.

შესაბამისად, პროგრამაში ჩართული სხვადასხვა ჯგუფი თანამშრომლობს პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა კულტურა მედიაში, 2021 წლის 15 დეკემბერი);

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება 12/01/2022 წლის №15470;
- 2023 წლის 6 სექტემბერს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა (“კულტურა მედიაში” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი);
- დოქტორანტთა გამოკითხვა სამეცნიერო ხელმძღვანელის შესახებ - შეფასება-ანალიზი, მედიისა და მენეჯმენტის მიმართულება, 2022-2023 ს.წ. ;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES 7 23 0001322793, 07/10/2023.;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური გამოკითხვების ანალიზის ანგარიშები;
- მონიტორინგის მიზნით განხორციელებული ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

და პერიოდული შეფასება				
-----------------------------	--	--	--	--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შეფასების ადეკვატურობა				
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
მაგდა მემანიშვილი

ე. ბეჩინაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების
ლელა წიწუაშვილი

ლ. წიწუაშვილი

სოსო გაზდელიანი

ს. გაზდელიანი